ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის

პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტზე

რეკომენდაციები

ოქმი N5

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭოს მორიგ შეხვედრაზე, რომელიც 15 ნოემბერს გაიმართა, განხილულ იქნა 2022 წლის ქალაქის ბიუჯეტის პროექტი. მერიის სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებმა, მრჩეველთა საბჭოს გააცნეს, ბიუჯეტში გათვალისწინებული მომავალ წელს დაგეგმილი პროგრამები.

დანართების სახით გიზიარებთ მრჩეველთა საბჭოს წევრების: ნათია აფხაზავას, ნინო ინაიშვილის, რამინ მაჭარაშვილის და თამარ გუდავას რეკომენდაციებს. იხილეთ 3 დანართი.

პატივისცემით,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გუდავა

19.11.2021

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი № 5

ქალაქი ბათუმი **15.11.2021**

სხდომას ესწრებოდა მრჩეველთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

1. **ნინო ინაიშვილი** - საზოგადოება „ბათომი“-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე; განათლების საერთაშორისო ცენტრის ბათუმის ოფისის ხელმძღვანელი; (ონლაინ)
2. **დავით ქობულაძე -** შ. რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მედიცინის მე-5 კურსის სტუდენტი
3. **ნათია აფხაზავა** - სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ბათუმის ფილიალის დირექტორი; (ონლაინ).
4. **მაყვალა კვირიკაძე** - შპს „მაკო“-ს დამფუძნებელი; აჭარის ქალ ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე;
5. **თამილა მეიშვილი** - პროფესორი, დრამისა და კინოს მსახიობი
6. **თამაზ თურმანიძე** - აჭარის ლოჯისტიკის, ტრანსპორტისა და გადამზიდავთა ასოციაციის თავმჯდომარე;
7. **რამინ მაჭარაშვილი** - ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ დამფუძნებელი, გამგეობის წევრი; (ონლაინ)
8. **ალექსანდრე შერვაშიძე** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტი;
9. **მანუჩარ ლორია** - სსიპ სასწავლო უნივერსიტეტის ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის რექტორის მოადგილე;
10. **თამარ გუდავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი;
11. **ირმა აფხაზავა** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი

სარეგისტრაციო ფურცელი

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

N	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1	აფხაზავა ირმა	წევრი	
2	აფხაზავა ნათია	წევრი	ონლაინ
3	გუდავა თამარ	თავმჯდომარე	
4	თურმანიძე თამაზ	წევრი	
5	ინაიშვილი ნინო	წევრი	ონლაინ
6	კვირიკაძე მაყვალა	წევრი	
7	ლორია მანუჩარ	წევრი	ონლაინ
8	მაჭარაშვილი რამინ	თავმჯდომარის მოადგილე	ონლაინ
9	მეიშვილი თამილა	წევრი	
10	ნაკაშიძე ლაშა	წევრი	—
11	ქათამაძე ციური	წევრი	—
12	ქობულაძე დავით	წევრი	
13	შავიშვილი რუსუდან	წევრი	—
14	შერვაშიძე ალექსანდრე	მდივანი	

დანართი 1.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის

პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტზე

რეკომენდაციები

ამა წლის 15 ნოემბერს გამართული ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭოს მორიგ შეხვედრაზე, მოვუსმინეთ მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურების უფროსებს, რომლებმაც წარმოგვიდგინეს ქალაქის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მადლობას გიხდით, წინა სხდომებზე განხილული რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში და გიზიარებთ ახალ წინადადებებს:

- კულტურაში, უკვე არსებულ პროგრამებში, გაჩნდეს ახალი ინიციატივა, ბათუმის მნიშვნელოვან სტატუსთან დაკავშირებით. მუსიკის მიმართულებით იუნესკოს კრეატიული ქალაქის სტატუსის მინიჭება, თავსი მხრივ პასუხისმგებლობაა და ბევრი ახალი ინიციატივის დანერგვას გულისხმობს. სასურველია კულტურის სამსახურმა ამ მიმართილებით ეფექტურად მუშაობისთვის შექმნას, პროფესიონალებისგან შემდგარი კომისია, რომელიც დაგეგმავს და განახორციელებს ქმედით ღონისძიებებს. დაიგეგმება სპეციალური კულტურულ საგანმანათლებლო აქტივობები, მათ შორის იუნესკოს წევრ სხვა ქალაქებთან ერთად. ამ ეტაპზე, ამ საქმიანობის ხელშეწყობისთვის, სასურველია კულტურის ბიუჯეტი გაიზარდოს 100 000 ლარით, რომელიც შესაბამისი კომისიის რეკომენდაციით ეფექტურად დაიხარჯება.
- სასურველია ჯანდაცვის სპეციალურ პროგრამაში, რომელიც ახდენს სხვადასხვა მიმართულებების სუბსიდირებას, გათვალისწინებული იყოს, ძალადობის მსხვერპლი არასწრულწლოვანი ბავშვებისთვის, კვალიფიციური ფსიქოლოგების მომსახურების დაფინანსების საკითხი.
- ასევე მიზანშეწონილია, სოციალური პროგრამებიდან მოხდეს სუბსიდირება ჩვენს მუნიციპალიტეტში, არასრულწლოვანებთან მომუშავე ორგანიზაციბის, რომლებიც სხვადასხვა სერვისებს სთავაზობენ ბენეფიციარებს. იმდენად რამდენადაც ისინი აქტიურად მუშაობენ, სხვადასხვა საჭიროებების მქონე არასრულწლოვანებთან ბევრი მიმართულებით, სასურველია მოხდეს ამ სერვისების მიწოდებისთვის აუცილებლი თანხების გათვალისწინება.

პატივისცემით,

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

თამარ გუდავა

18.11.2021

სამოქალაქო
საზოგადოების
ინსტიტუტი
ბათუმის ფილიალი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ე ბ ი

ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტზე

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ქალაქისთვის. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მასში ასახული იყოს მოქალაქეების საჭიროებები და ქალაქის განვითარების ხედვები.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი საკმაოდ კომპლექსიური დოკუმენტია, ამ ეტაპზე გაგიზიარებთ რეკომენდაციას რამოდენიმე პროგრამულ მიმართულებაზე, რომელიც აუცილებელია გაუმჯობესდეს და გაძლიერდეს დაფინანსების კუთხით:

1. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება (03 02) ან ქალაქის ურბანული განვითარების (0701) პროგრამაში აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ქალაქის ტერიტორიაზე არსებული პარკების გენერალური განაშენიანების გეგმის შემუშავება. დღესდღეობით ყველაზე აქტუალურია ცენტრალური პარკი, სადაც ქაოტურად მიმდინარეობს სხვადასხვა კეთილმოწყობითი სამუშაოები. ურბანული პირველადი კონსულტაციების შედეგად ცენტრალური პარკის გეგმის შემუშავებისთვის საჭიროა 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი; ასევე წერეთლის სკვერის ტერიტორიის მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრაცა და რეაბილიტაცია;
2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და განვითარების პროგრამის (0505) ფარგლებში არ არის გათვალისწინებული ახალი ძეგლების რეაბილიტაცია. მოგეხსენებათ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული პროგრამა ქალაქისთვის, შესაბამისად უნდა შემუშავდეს რეაბილიტაციის პროგრამის კონცეფცია, სადაც გაიწერება დეტალური ხედვა და ინდეტიფიცირდება შესაბამისი ძეგლები, ასევე გათვალისიწნებული იქნება მათი რეაბილიტაციის ბიუჯეტი;
3. ახალგაზრდობის განვითარების პროგრამის (0506) გაძლიერება - მოგეხსენებათ ქალაქ ბათუმის მერია მუშაობს ახალგაზრდობის სტარტეგიაზე, სამუშაო შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა არაერთი მიმართულება, რომლის მხარდაჭერაც აუცილებელია. მისაღებია წარმოდგენილი ხედვა ახალგაზრდობის განყოფილებიდან, თუმცა ვისურვებით პროექტის „შენი იდეა ბათუმის“ ფარგლებში წარმოდგენილი იდეების (იხ.დანართი 01) ასახვას მათ სამოქმედო გეგმაში;

+995 599 777 185
adjara@civilin.org
მელიქიშვილის ქუჩა 59, 6004 ბათუმი,საქართველო
www.civilin.org

4. მონაწილეობითი ბიუჯეტირების მხადაჭერის პროგრამა (0802) საჭირობს გაძლიერებას - კერძოდ პროგრამა უნდა დაემატოს:
   - ✓ განხორციელების მხარდაჭერის ხარჯები, კერძოდ: საინფორმაციო კამპანიას თუ შეფასების ღონისძიებების ბიუჯეტი - რაც მოიცავს 100 000 (ასი ათასი) ლარს.
   - ✓ გაიზარდოს უშუალოდ დაფინანსების თანხა 2 000 000 (ორი მილინონი) ლარამდე მაინც;
   - ✓ 2019-2021 წლების გამარჯვებული მაგრამ განუხორციელებელი პროექტების ბიუჯეტის გათვალისწინება აღნიშნულ პროგრამაში ან სხვა შესაბამის პროგრამაში, ეს პროექტებია: მობილური კინოთეატრი; ქუჩის კალათბურთის მოედანი; ბათუმი-ველოქალაქი; ორგანული ნარჩენების კომპოსტირება (2021); ქუჩის კალათბურთი; ქართული ჭიდაობის ნახევრად ღია ტიპის საჭიდაო მოედანი, დარბაზი (2020); ნატვრის ხე; წარწერა ,, ბათუმი " ბათუმგორაზე (2019).

პატივისცემით,

ნათია აფხაზავა

ფილილის დირექტორი
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრი

დანათი № 1

პროექტი „შენი იდეა ბათუმის“ ფარგელბში 2022 წელს წარმოდგენილი იდეები ახალგაზრდობის და არაფორმალური განათლების მხარდაჭერის კუთხით:

იდეის სახელწოდება	**ბიუჯეტი**	**ავტორი**
ბათუმი პოდკასტი	90,000	გიორგი ბერიძე
ჩაერთე და ისარგებლე	13,615	თამარ ნიკურაძე
ჟესტური ენის ალტერნატიული სკოლაა	8,125	მზია მელაძე
ფორმალური დებატების სასკოლო კლუბების განვითარება	200,000	დავით ფარტენაძე
ბათუმის ახალგაზრდული სპორტული საერთაშრისო ფესტივალი	69,600	ხათუნა გიორგაძე
“მშობლების და შშმ პირების მხარდაჭერისთვის” შეხვედრების ციკლი	12,540	ირმა კილაძე

+995 599 777 185
adjara@civilin.org
მელიქიშვილის ქუჩა 59, 6004 ბათუმი,საქართველო
www.civilin.org

შენიშვნები ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის

პროგრამასთან დაკავშირებით

ვთვლი, რომ ეს პროგრამა სერიოზულ რევიზიას საჭიროებს, რადგან მასში არ არის გათვალისწინებული მთელი რიგი გამოწვევები, რომლებიც ბათუმელი ახალგაზრდების წინაშე დგას.

კერძოდ, „საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების 2020–2030 პოლიტიკის კონცეფციის“ ერთ–ერთი პრიორიტეტული ამოცანაა „განათლების, დასაქმებისა და ტრენინგების მიღმა მყოფი ახალგაზრდების წილის მნიშვნელოვანი შემცირება“. სერიოზულ კვლევებზე დაყრდნობით ცნობილია, რომ ამ კატეგორიის ახალგაზრდების უდიდესი წილი მოსახლეობის ყველაზე ხელმოკლე ჯგუფს განეკუთვნება. საჭიროა კვლევების ჩატარება და ბათუმელი ახალგაზრდების ამ პოპულაციის საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავება და გამოცდა.

ბათუმში მცხოვრები ამ ახალგაზრდების საჭიროებებისა და პერსპექტივების კვლევა, მათი ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვაზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავება და ამ სტრატეგიების ეფექტიანობის შეფასება, ამისათვის საჭიროა:

1. ჩამოყალიბდეს ამ პოპულაციის კვლევისა და მხარდაჭერის კომისია, რომელიც დაკომპლექტდება პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, დამსაქმებელთა ასოციაციების, და სხვა რელევანტური მხარეების წარმომადგენლებით;

2. ჩატარდეს ამ პოპულაციის საჭიროებების სიღრმისეული კვლევა;

3. შემუშავდეს და განხორციელდეს საპილოტე პროგრამები;

4. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, მიიღება გადაწყვეტილებები მომავალ გადაწყვეტილებებზე.

გარდა ამისა, „ახალგაზრდობის განვითარების 2020–2030 პოლიტიკის კონცეფციის“ ორი სტრატეგიული პრიორიტეტია:

1. საზოგადოებრივ ცხოვრებასა და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობა;

2. ახალგაზრდების განვითარებისა და მათი პოტენციალის რეალიზების ხელშეწყობა; კონცეფციის თანახმად, ახალგაზრდები არასაკმარისად აქტიურად არიან ჩართულნი მოხალისეობრივ საქმიანობაში და, შესაბამისად, კონცეფციის ერთ–ერთი მიზანი მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის მაჩვენებლის გაზრდაა. გარდა ამისა, ახალგაზრდების განვითარების ხელშესაწყობად, კონცეფცია რეკომენდაციას უწევს ახალგაზრდებისთვის პოტენციალის რეალიზების ალტერნატიული მექანიზმების განვითარებას „თავდაჯერებულობის განმტკიცების, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული უნარების ათვისებისთვის“.

ამ სტრატეგიული პრიორიტეტების მიზნის მისაღწევად, ბათუმის მუნიციპალიტეტმა მხარი უნდა დაუჭიროს სტუდენტების მეწარმეობის ინიციტივებს. მეწარმეობაში მოიაზრება „კულტურული, სოციალური ან ეკონომიკური ღირებულების შექმნა მეწარმეობის სხვადასხვა ფორმის, სოციალური მეწარმეობა, მწვანე მეწარმეობა და დიგიტალური მეწარმეობა.

საკონკურსო პირობების შემუშავება უნდა განხორციელდეს შესაბამისი გამოცდილების მქონე ორგანიზაციებთან თანამშრომობით;

საინიციატივო ჯგუფებისთვის საპროქტო განაცხადის მომზადებაში მხარდაჭერა ტრენინგების და კონსულტაციების საშუალებით;

საპროექტო განაცხადების შერჩევა დამოუკიდებელი ექსპერტების, მათ შორის, შესაბამისი დარგობრივი ექსპერტების მიერ;

პატივისცემით,

ნინო ინაიშვილი



ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის
სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს
თავმჯდომარეს ქ/ნ - თამარ გუდავას

ამავე საბჭოს წევრის/თავმჯდომარის მოადგილის
რამინ მაჭარაშვილის

ინიციატივა

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მოქმედი დებულების საფუძველზე საბჭოს ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით წარვუდგენ ქ.ბათუმში მცხოვრებ შშმ პირებთან და მათ მშობლებთან შეჯერებულ შემდეგ ინიციატივებს:

პრობლემის აღწერა: 1.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ საჯარო უწყებების (მათ შორის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამებში/პროექტებში) ოფიციალურ დოკუმენტებში ჯერ კიდევ გვხვდება შშმ პირთა მიმართ გამოყენებული ნეგატიური კონტექსტის მატარებელი ტერმინები/სიტყვები (ინვალიდი, დაინვალიდბული, საწოლს მიჯაჭვული და სხვა), რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებაში შშმ პირთა მიმართ არსებული სხვადსხვა ნეგატიური განწყობებისა და სტერეოტიპების გამყარებას და ხელს უშლის საქართველოს სახელმწიფოს შეასრულოს შშმ პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით აღებული ვალდებულება.

კანონის მე-17 მუხლის თანახმად: ,,1. სახელმწიფო, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფს:
ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოტენციალისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი წვლილის პოპულარიზაციას;
ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებული საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ მათი ოჯახებისა და საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას;
გ) გრძელვადიანი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის გამომწვევი სტერეოტიპების რღვევას;
დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე ორიენტირებული ადეკვატური, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნების/მექანიზმების ასახვას საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალებში, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულო იქნება ყველა დაწესებულებისთვის, მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.
2. სახელმწიფო ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობითაც ახორციელებს''.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც ქ. ბათუმის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო და სახელმწიფო ხელისუფლების ნაწილი ადგილობრივ დონეზე აუცილებელია აქტიურად ჩერთოს შშმ პირთა შესახებ ცნობიერების ამაღლების სახელმწიფო ვალდებულების შესრულებაში. შესაბამისად წარმოგიდგენთ პირველ ინიციატივას:

ინიციატივა: 1.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს წარედგინოს რეკომენდაცია, რომ მერიის ყველა სამსახურს (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჩათვლით), მისცეს მითითება, ბათუმში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო აქტივისტებისა და ორგანიზაციების ჩართულობით განახორციელონ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის იმ ქვეპროგრამების შინაარსობრივი შემოწმება და კორექტირება (შესაბამისი პროგრამ(ებ)ის აღწერილობითი ნაწილიდან შშმ პირთა მიმართ არსებული ისეთი დისკრიმინაციული, შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი და ნეგატიური კონტექსტის მატარებელი ტერმინების/სიტყვების ამოღება, როგორიცაა: ინვალიდი, დაინვალიდებული, საწოლს მიჯაჭვული და სხვა მსგავსი ტერმინები), რომლებშიც ჯერ კიდევ გამოიყენება <u>შშმ პირის მიმართ უარყოფითი კონტექსტის მატარებელი, შეურაცხმყოფელი, დისკრიმინაციული ზემოაღნიშნული ტერმინები/სიტყვები და მოხდეს მათი ჩანაცვლება უფრო მართებული სიტყვებით/ტერმინებით.</u>

პრობლემის აღწერა: 2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წლებია ხორციელდება ,,საკურორტო რეაბილიტაციის ქვეპროგრამა'', რომელიც რეალურად მოიცავს, მხოლოდ დასვენებას (დამატებით შეგიძლიათ მერიის ვებ-გვერდზე იხ. ქვეპროგრმის აღწერა) და მასში არ შედის რეაბილიტაციის კომპონენტები მგ. ექიმის კონსულტაცია, ფიზიოთერაფია, სამკურნალო მასაჟი და სხვა. შესაბამისად პროგრამის შინაარსი არ შეესაბამება მის დასახელებას. ეს ზემოაღნიშნული სხვაობა გარდა იმისა, რომ ქმნის გარკვეულ ,,უხერხულობებს'', ზოგჯერ შეცდომაში შემყვანიც შეიძლება აღმოჩნდეს ქვეპროგრამით მოსარგებლეთა მიმართ. სწორედ ამის გამო შეუცვალა ქ. თბილისის მერიამ თავის დროზე მათ მსგავს პროგრამას სახელი და უწოდა მას ,,საკურორო დასვენების'' ქვეპროგრამა.

ასევე ხშირად საქართველოს სხვა რაიონებში დასასვენებლად ბათუმიდან წასული შშმ პირები სასტუმროებში აწყდებიან არაადაპტირებულ გარემოს, შშმ პირისთვის არასათანადო კვებას და სხვა. ამას სასტუმროს მეპატრონეები ხსნიან არასაკმარისი სახსრებით და მერიისგან დაგვიანებული (სერვისის მიწოდების შემდგომ) ანგარიშსწორებით. ეს კი არათუ ხელს უწყობს შშმ პირთა დასვენებას, არამედ პირიქით უარყოფითად მოქმედებს მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ მე-2 ინიციატივას:

ინიციატივა: 2.
ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს რეკომენდაცია, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის მიერ შემუშავებულ <u>,,საკურორტო რეაბილიტაციის ქვეპროგრამას'' გადაერქვას სახელი და ეწოდოს ,,საკურორტო დასვენების'' ქვეპროგრამა.</u>
ბ) მინიმუმ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამკაცრდეს სერვისის მომწოდებელი სასტუმროების ფიზიკური გარემოს და სერვისის შშმ პირთათვის მისაწვდომობის მონიტორინგი მერიის წარმომადგენლების ადგილზე ვიზიტით;

გ) ქვეპროგრამით მოსარგებლე რამდენიმე სოციალური კატეგორიის პირებიდან შშმ პირებზე გამოიყოს შედარებით მეტი რესურსი, რათა მათ შეძლონ შესაბამისი ხარისხის სასტურმოების სერვისით სარგებლობა, რადგან 500-დან 1000 ლარამდე (ვაუჩერის მინიმალური და მაქსიმალური ღირებულება შშმ პირსა და მის გამყოლზე) შეუძლებელია 12 დღით დაისვენო ისეთ სასტუმროში სადაც ადაპტირებული გარემო და შესაბამისი კვებაცაა.

აქ გასათვალისიწნებელია ის გარემოება, რომ ქვეპროგრამით მოსარგებლე სხვა მოწყვალადი კატეგორიის ჯგუფებს მგ. მრავალშვილიან ოჯახებს, სოციალურად დაუცველებს არ ესაჭიროებათ ადაპტირებული გარემო და მათთვის შედარებით ,,მარტივია'' 1000 ლარად ,,ნორმალურ'' პირობებში დასვენება.

პრობლემის აღწერა: 3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს გათვალისწინებულია პროგრამა ,,კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები'' კოდით 05 03. აღნიშნულ პროგრამაში ერთერთ ღონისძიებად გათვალისწინებულია ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზიური შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა'', რომელშიც მითითებულია, მხოლოდ 2022 წელს განსახორციელებელი აქტივობების რაოდენობა 3 (სამი), რაც არის პროგრამის ინდიკატორები და პროგრამა არ შეიცავს ჩასატარებელი ღონისძიებების აღწერას, გამოყოფილი ბიუჯეტის რაოდენობას და ა.შ. შესაბამისად აუცილებელია:

ინიციატივა 3.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს გათვალისწინებულ პროგრამა ,,კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები'' კოდით 05 03 ერთერთ ღონისძიებად გათვალისწინებულ ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინკლუზიური შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა''-ში <u>დეტალურად გაიწეროს თუ რა იგულისხმება ამ აქტივობებში და რა ოდენობის თანხა გამოიყოფა ამ სახის აქტივობებზე.</u>

პრობლემის აღწერა 4.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს გათვალისწინებულია ქვეპროგრამა ,,ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა'' კოდით 05 04 05, რომლის ,,მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების'' კომპონენტში გათვლისწინებულია ,,შშმ პირთათვის ადაპტირებული აპარატურის შესყიდვა'' ბიუჯეტით 36 000 ლარი, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ამ თანხაში რა სახის ადაპტირებული აპარატურის შესყიდვა იგეგმება და რომელი კატეგორიის შშმ პირებისთვის, რაც პრობლემაა, რადგან სხვადასხვა კატეგორიის შშმ პირთათვის, სხვადასხვა ადაპტირებული აპარატურაა საჭირო, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა ფასი ღირს და ზოგიერთი მათგანისთვის 36 000 ლარი არ იქნება საკმარისი. ამიტომ აუცილებელია:

ინიციატივა 4.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს გათვალისწინებულ ქვეპროგრამა ,,ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა'' კოდით 05 04 05, რომლის ,,მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების'' კომპონენტში გათვლისწინებულია ,,შშმ პირთათვის ადაპტირებული აპარატურის შესყიდვა'' ბიუჯეტით 36 000 ლარი, <u>დეტალურად გაიწეროს თუ რა სახის ადაპტირებული აპარატურის შესყიდვა იგეგმება და რომელი კატეგორიის შშმ პირებისთვის.</u>

ასევე აუცილებელია ქვეპროგრამაში გაიწეროს ამ ღონისძიებით შშმ პირთათვის მიღებული სარგებელი (რა დადებით შედეგს იძლევა ეს ღონისძიება კონკრეტულად შშმ პირთათვის).

პრობლემის აღწერა: 5.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს გათვალისწინებულია ქვეპროგრამა ,,მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01). ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: ბრონქული ასთმით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; დახმარება მედიკამენტების შეძენისათვის (200 ლარის ოდენობით). ამ პროგრამას გასულ წლებში განხორციელებისას ჰქონდა გარკვეული პრობლემა იმ კუთხით, რომ შშმ პირები ზოგჯერ ვერ ახერხებდნენ ქვეპროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული მედიკამენტების აღებას ზოგიერთ აფთიაქებში, რადგან აფთიაქებში კონკრეტულ დროს ეს წამლები არ იყო მისაწვდომი. შესაბამისად შშმ პირებს უწევდათ სხვადასხვა სააფთიაქო ქსელებში სიარული ანგარიშ-ფაქტურების მისაღებად, თუმცა ზოგჯერ ბათუმში საერთო დეფიციტს ჰქონდა ადგილი და რთული იყო ზოგიერთი ზემოაღნიშნული მედიკამენტის შეძენა.

ასევე პრობლემაა ისიც, რომ თუ ოჯახში 2 შშმ პირზე მეტია ისინი მხოლოდ ორ 200 ლარიან წამლის ვაუჩერს მიიღებენ და მესამე ან მომდევნო შშმ პირი წამლის ვაუჩერის გარეშე რჩება. ამიტომ აუცილებელია:

ინიციატივა: 5.

ა) ,,მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის (პროგრამული კოდი 06 01 01) <u>კორექტირება, ისე, რომ შშმ პირებმა შეძლონ კონკრეტული და ზოგჯერ დეფიციტური წამლების, რაც შეიძლება ბევრ აფთიაქში (მათ შირს ბათუმის ფარგლებს გარეთ) მარტივად შეძენა, მგ. ქ. ბათუმის მერიის მიერ გაცემული შესაბამსისი ვაუჩერის მეშვეობით.</u>

ბ) ამავე პროგრამაში გაიწეროს, რომ ოჯახში რამდენი შშმ პირიც იქნება იმდენი ვაუჩერი გაიცემა მათზე. ე.ი. თითოეულზე ერთი ინდივიდუალური 200 ლარიანი ვაუჩერი, მიუხედავად იმისა თუ რამდენი შშმ პირია ოჯახში.

პრობლემის აღწერა: 6.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს გათვალისწინებულია ქვეპროგრამა ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება'' (კოდი 06 02 11) ეს ქვეპროგრამა ითვალისწინებს რამდენიმე მიმართულებას, მათ შორის:

ა) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისათვის 12 თვე 12 პირისათვის. ბიუჯეტი 43 200 ლარი. მომსახურება 3 600 ვიზიტი (1 პირზე საშუალოდ 300 ვიზიტი, 1 ვიზიტის ღირებულება 12 ლარი.)

პერსონალური ასისიტენტის მომსახურება მოიცავს ბენეფიციარის დახმარებას საყოფაცხოვრებო აქტივობებში მგ. სახლიდან გამოსვლა და კონკრეტულ ადგილზე მისვლა, შეხვედრებზე გაყოლა, კვებაში, ჩაცმაში დახმარება და სხვა.

ეს აქტივობები უნდა იყოს შშმ პირის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული და თვეში მინიმუმ 120 საათით (დღეში საშუალოდ 4 საათი) განსაზღვრული, თანახმად საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროში მიმდინარე პერსონალური ასისიტენტის სტანდარტის სამუშაო ვერსიისა, რომელიც სავარაუდოდ წლის ბოლოსთვის დამტკიცდება.

ბ) მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე **უსინათლო პირების გამცილებლით** მომსახურება 48 პირისთვის. ბიუჯეტი 55 296 ლარი. ერთეულის წლიური ფასი 1152 ლარი.

ეს სერვისი ითვალისწინებს კვირაში 2 დღე ერთი საათის განმავლობაში უსინათლოსთვის დახმარების გაწევას გადაადგილებაში (,,ა'' პუნქტიდან ,,ბ'' პუნქტში მიყოლა და უკან სახლში მიცილება).

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ პერსონალური ასისტენტის სერვისი უფრო მეტ აქტივობას და დროს მოიცავს, ვიდრე უსინათლო პირების გამცილებლის სერვისი, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ პროგრამაზე უფრო ნაკლები თანხაა გამოყოფილი ვიდრე უსინათლო პირების გამცილებლის სერვისზე, რაც ჩვენი აზრით გაუმართლებელია.
გარდა ამისა პეროსნალური ასისტენტის სერვისზე გამოყოფილი თანხა იმდენად ცოტაა, რომ ამ თანხაში (თვეში საშუალოდ 300 ლარად) ასისტენტები მუშაობაზე შესაძლოა არ დათანხმდნენ და პროგრამა შესაძლოა ვერ განხორციელდეს, მით უმეტეს რომ ამ პროგრამის ადმინისტრირებასა და მონიტორინგზე ცალკე თანხა გათვალისწინებული არ არის, მერიას კი გაუჭირდება ამ ფუნქციის სათანადოდ შესრულება. ამიტომ აუცილებელია:

ინიციატივა 6.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2022 წელს გათვალისწინებული ქვეპროგრამით ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება'' (კოდი 06 02 11) <u>განსაზღვრული ორი მიმართულება:</u>
1) პერსონალური ასისტენტების მიერ სერვისის მიწოდება ეტლით მოსარგებლე შშმ პირებისათვის 12 თვე 12 პირისათვის და 2) მკვეთრად შეზღუდული სტატუსის მქონე უსინათლო პირების გამცილებლით მომსახურება <u>გაერთიანდეს და ორივე მოიცავდეს პერსონალური ასისტენტით უზრუნველყოფის სერვისს. შესაბამისად ორივე მიმართულებას ეყოლება სულ 60 ბენეფიციარი, ექნება 98 496 ლარი, რაც მოგვცემს გაზრდილ შესაძლებლობებს, კერძოდ:</u>
ა) პერსონალურ ასისტენტებს დაახლოებით 2-ჯერ გაეზრდებათ საშუალოდ 1 ვიზიტზე გამომუშავებული თანხის ოდენობა, რაც მათთვის პროგრამაში დასაქმებაზე უარის თქმის და პროგრამის ჩავარდნის რისკებს შეამცირებს;
ბ) იმ უსინათლო პირებს ვისაც უბრალოდ გამცილებელთან ერთად შესაძლოა ესაჭიროებოდეთ ასისტენტის მომსახურებაც შესაძლებლობა მიეცემათ დამატებით ისარგებლონ ასისტენტის სრული სერვისით (გაუჯობესებული სერვისი) და გარდა ამისა ვისაც უბრალოდ კვლავ მხოლოდ გამცილებელი დაჭირდებათ მათ ამ მომსახურებას გაუწევენ ზემოაღნიშნული გადამზადებული 12 ასისტენტი, რომელთა ფუქციაში ისედაც შედის შშმ პირთა გადაადგილებაში დახმარება, თუმცა შესაძლოა 12 ასისტენტს დაემატოს 3 ან 5 გამცილებელი, რომელიც იმუშავებს მხოლოდ უსინათლო პირების გაცილებაზე, ან შეითავსებს ორივე ფუნქციას გადამზადების შემთხვევაში, რომელსაც უზრუნველყოფს სერვისის განმახორციელებელი ორგანიზაცია, პირი ან მერია. შესაბამისად ორივე მიმართულებაზე დასაქმდება მაქსიმუმ 15 ან 17 ადამიანი.

გ) ამ ორი სერვისის გაერთიანებით გაზრდილი ბიუჯეტის (98 496 ლარი) ფარგლებში შესაძლებელი იქნება მათი ადმინისტრაციული მართვის და მონიტორინგის კომპონენტის გადაცემა შშმ პირთა სფეროში მომუშავე გამოცდილი ორგანიზაციისთვის, რომელიც უზრუნველყოფს ამ სერვისის სათანადოდ განხორციელებას.

პრობლემის აღწერა: 7.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად ქვეყანაში და ბათუმის მუნიციპალიტეტშიც პრობლემურია +18 პროგრამების სიმცირე, რაც აუცილებელია ეტაპობრივად გამოსწორდეს და მოხდეს სრულწლოვანი შშმ პირებისთვის პროგრამების შექმნა.
ერთ-ერთი პრობლემა სრულწლოვან შშმ პირებთან მიმართებაში, რაც ბათუმის მუნიციპალიტეტში მწვავედ დგას არის ჰიგიენური საშუალებების შეძენის სირთულე. ქ.ბათუმის მერიას ამ მიმართულებით მხოლოდ შინ მოვლის ქვეპროგრამის ერთერთ კომპონენტად აქვს 18 წლამდე პირებისთვის ჰიგიენური საშუალებების შესაძენად დაფინანსება, რაც არ აგვარებს შინ მოვლის პროგრამის გარეთ არსებულ არასრულწლოვანი პირებისა და სრულწლოვანი შშმ პირებისთვის ჰიგიენური საშაულებების შეძენის პრობლემას. ამიტომ აუცილებელია:

ინიციატივა: 7.

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველუყოს სრულწლოვანი შშმ პირებისთვის ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, რომელიც შეიძლება შეიქმნას ცალკე ქვეპროგრამის სახით ან ერთ-ერთი კომპონენტის სახით ჩაემატოს ,,მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფის'' ქვეპროგრამას.

პატივისცემით,

რამინ მაჭარაშვილი

18/11/2021 წ.